თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2025 წლის 28 მარტის სხდომის

ო ქ მ ი N 3

2025 წლის 28 მარტს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, ვალერიან ვაშაკიძე, ვახტანგ გოილაძე, ავთანდილ სონღულაშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ნიკოლოზ ჯავახიშვილი** (დისტანციურად), **ლიანა ბითაძე** (დისტანციურად). საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი (დანართი 1).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

სომხურ-ქართული კრებულისთვის: „საქართველო-სომხეთი - 100“ (1918 წელს ორი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები) გრიფის მინიჭება.

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

სომხურ-ქართული კრებულისთვის: „საქართველო-სომხეთი - 100“ (1918 წელს ორი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები) გრიფის მინიჭება *(დანართი 2).*

ლავრენტი ჯანიაშვილი: 2018 წლის სექტემბერში, ახალქალაქში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: *„დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლიანი გზა“,* რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავს. აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები. კრებულში იბეჭდება ამ კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენებები ქართულ და სომხურ ენებზე. სამეცნიერო საბჭოს თხოვნით, ბ-ნი ავთანდილ სონღულაშვილი გაეცნო კრებულის ელექტრონულ ვერსიას და წარმოგვიდგენს თავის შენიშვნებს და მოსაზრებებს.

ავთანდილ სონღულაშვილი: კრებულში იბეჭდება 6 ქართველი და 5 სომეხი მეცნიერის

სტატია ქართულ და სომხურ ენებზე. სტატიები საინტერესოა, ძირითადად, გამართულია, არის რამოდენიმე უხეში შეცდომა, გვაქვს შენიშვნებიც, რომლებიც მიეწოდება ავტორებს და იმედია, გათვალისწინებული იქნება. ვფიქრობ, შესაძლებელია კრებულს მიენიჭოს გრიფი.

გაიმართა მსჯელობა, **აზრი გამოთქვეს:** როლანდ თოფჩიშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ვალერიან ვაშაკიძემ, ლავრენტი ჯანიაშვილმა, ლევან გორდეზიანმა და სხვა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: გთხოვთ, ვუყაროთ კენჭი საკითხს, მიენიჭოს თუ არა კრებულს -***„საქართველო-სომხეთი - 100“*** ინსტიტუტის გრიფი.

ჩატარდა ღია კენჭისყრა: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

სხდომამ დაადგინა:

მიენიჭოს ინსტიტუტის გრიფი კრებულს - *„საქართველო-სომხეთი - 100“* (1918 წელს ორი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

28. 03. 2025

დანართი I

თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2025 წლის 28 მარტის სხდომას ესწრებოდნენ
მთავარი მეცნიერი თანამშრომლები:

- გიორგი ჭეიშვილი
- ლევან გორდეზიანი
- მარიამ ჩხარტიშვილი
- ავთანდილ სონღულაშვილი
- ქეთევან ხუციშვილი
- როლანდ თოფჩიშვილი
- ლიანა ზითაძე
- ვალერიან ვაშაკიძე
- ვახტანგ გოილაძე
- ეკა კვაჭანტირაძე
- ვაჟა კიკნაძე
- ალექსანდრე დაუშვილი
- ელდარ ბუბულაშვილი
- ნიკოლოზ ჯავახიშვილი
- ნინო მინდაძე
- ხათუნა იოსელიანი
- სალომე ოჭრუაშვილი
- ლავრენტი ჯანიაშვილი


საქართველო - სომხეთი - 100
(1918 წელს ორი რესპუბლიკის გამოცხადების 100 წლისთავისადმი
მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები)
ՎՐԱՍՏԱՆ – ՀԱՅԱՍՏԱՆ - 100
(1918 թ. երկու հանրապետությունների անկախության հռչակման
հարյուրամյակին նվիրված միջազգային գիտաժողովի նյութեր)